



საქართველოს სპორტცეკვების
ეროვნული ფედერაცია
Georgian National DanceSport Federation

0119 ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. #126
GE-0119, Tbilisi, Akaki Tsereteli Ave. #126,
Ph/Fx: (+995 32) 2 35 52 75; Ph: (+995 790) 34 41 51
E-mail: gndsf@hotmail.com www.gndsf.ge



ქ.თბილისი, 2017 წლის 31 დეკემბერი

პრეს-რელიზი #2017-09

საკითხი: პრეზიდენტის ანგარიში 2017 წელს ფედერაციაში
გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით და სამომავლო გეგმები

VIEW THE PRESIDENT'S REPORT



ძვირფასო მეგობრებო!

2017 წლის ბოლო დღეს, როდესაც თითოეული ჩვენგანი აჯამებს და აფასებს გასულ წელს და ახალი იმედებით აღსავსე ელის 2018 წელს მსურს რამოდენიმე წუთით მოგაცდინოთ თქვენი საქმეებისგან და ერთად შევაჯამოთ 2017 წელი და ასევე ჩემი პრეზიდენტობის პირველ ვადაში (2014–2017 წწ.) მიღწეული შედეგები!

2017 წლის 3 სექტემბერს ჩატარდა ფედერაციის საარჩევნო საერთო კრება (ყრილობა), სადაც ახალი ვადით (2017–2021 წწ.) დელეგატებმა მე და ჩემი გუნდი კვლავ აგვირჩიეს ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში! მადლობა თქვენ ამ ნდობისთვის!

ნება მიბოძეთ პირადად ჩემი, ასევე ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი სახელით თითოეულ ათლეტს და მათ მშობლებს, კლუბებს, რეგიონალურ ფედერაციებსა თუ ინდივიდუალურ წევრებს, მსაჯებს და მწვრთნელებს დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის მთელი წლის განმავლობაში! ყველას გისურვებთ ბედნიერ შობა-ახალ წელს, უდიდეს წარმატებებსა და მიღწევებს 2018 წელს! სიხარულს, ჯანმრთელობას და წინსვლას!

ჩვენთვის 2017 წელი სხვა უამრავ წარმატებასთან ერთად იყო უდიდესი ფინანსური დანაკარგის წელიწადი! მაისის საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარებამდე 2 კვირით ადრე ჩვენ შევიტყვეთ, რომ დაფინანსებას აღარ მივიღებდით არც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსგან და არც ქ. თბილისის მერიისგან!

ამ რთული გარემოების მიუხედავად, ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალური მობილიზება მოგვეხდინა ჩვენი ძალების და ადამიანური რესურსების და უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ საერთაშორისო შეჯიბრი „კავკასიის თასი 2018“!

ასევე უდიდესი მადლობა მსურს გადავუხადო **ქ-ნ ნინო ქავჭინაძეს** (აჭარის ა.რ. სპორტული ცენტრების ფედერაციის პრეზიდენტს) მისი გმირობის გამო, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ ფედერაცია იდგა რთული ფინანსური პრობლემების წინაშე და მას თავად აჭარის მთავრობამ შეუმცირა წელს დაფინანსება – მან უკან არ დაიხია და კვლავ ჩაატარა A კლასის **მსოფლიო ღია რეიტინგული შეჯიბრებები XII Batumi World Open 2017**, რომელიც წელს ვერ ჩატარდა 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს სამეჯლისო დარბაზში – თუმცა 2018 წლიდან ეს შეჯიბრი კვლავ გადაინაცვლებს ბათუმის ახალ 5 ვარსკვლავიან სასტუმროში – **EUPHORIA BATUMI HOTEL**–ში;

2017 წელს ქ-მა ნინომ მიიღო საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ლიცენზია და მსურს მივულოცო მას ეს მნიშვნელოვანი მოვლენა მის კარიერაში!

შეჯიბრებების გარდა აღსანიშნავია ის საწვრთნელი ბანაკები, სემინარები და მასტერ კლასები, რომლებიც წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი სიხშირით ტარდებოდა – როგორც ფედერაციის ორგანიზებით ასევე ჩვენი წევრი კლუბების თაოსნობით; სემინარებს კითხულობდნენ ამ დარგის მსოფლიო დონის პროფესიონალები და ჩვენ ვამაყობთ ამ ფაქტით! ცხადია 2018 წელი კვლავ დატვირთული იქნება ამ მიმართულებით!

პირველი საერთაშორისო სემინარი უკვე ჩანიშნულია 29–30–31 იანვარს და 1 თებერვალს – სერგეი დოროგოვცევის (უკრაინა) და ჯული ფრაერის (ნიდერლანდები) მონაწილეობით!

2018 წელს ჩვენი ფედერაცია ემზადება ქ. თბილისში მაისის თვეში (18–19–20 მაისი) მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად 21 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში - ლათინო-ამერიკული ცეკვების პროგრამით:

WDSF WORLD CHAMPIONSHIP 2018 LATIN UNDER 21 – MAY 19, 2018 – TBILISI, GEORGIA.

მოგესხენებათ თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა და ცხადია ფედერაცია სრულად უნდა იყოს მობილიზებული რათა უმაღლეს დონეზე ჩავატაროთ როგორც 2018 წლის შეჯიბრებები და ასევე 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატი!

მოგესხენებათ ბ-ნ თენგიზ გაჩეჩილაძის (ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი) და ქ-ნ ლარისა გაჩეჩილაძის (ფედერაციის საპატიო წევრი) მიერ დაფუძნდა საქართველოს სპორტცენტრების ეროვნული ფედერაცია, რომელიც დარეგისტრირდა 1998 წლის 3 ივლისს, ხოლო სამეჯლისო ცეკვების რესპუბლიკური გაერთიანება 1978 წელს და 2018 წელს ჩვენ ვიზეიმებთ ფედერაციის დაარსების 20 წლის იუბილეს – ხოლო სამეჯლისო ცეკვების გაერთიანების დაფუძნების 40 წლის იუბილეს! სიმბოლურია, რომ ამ იუბილეს აღსანიშნავად საქართველოში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი!!!

1992 წლიდან ვართ მსოფლიოს სპორტცენტრების ფედერაციის სრულუფლებიანი წევრები ხოლო 1991 წლიდან კი აღიარებულები ვართ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ!

უდიდესია მათი წვლილი ამ დარგის განვითარებაში საქართველოში!
ჩვენ ვთვლით, რომ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ქ. თბილისში - უდიდესი საჩუქარი იქნება მათთვის და ჩვენთვისაც, ვინაიდან ჩვენი ოცნება - საქართველო ყოფილიყო არა მხოლოდ რიგითი ფედერაცია მსოფლიო სპორტცენტრების ფედერაციაში, სადაც 100 წევრი ქვეყანაა გაერთიანებული, არამედ ყოფილიყო მხოლოდ ლიდერთა შორის - სულ მალე განხორციელდება!

2018 წლის მაისის თვეში ქ. თბილისში (18-19-20 მაისს) კვლავ დაგეგმილია **XXIII მსოფლიო ღია რეიტინგული შეჯიბრებები და საქართველოს 2018 წლის ეროვნული ჩემპიონატი სპორტულ (სამეჯლისო) ცეკვებში კავკასიის თასი 2018 და**

2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ლათინი 21 წლამდე

ხოლო ქ. ბათუმში (30 ივნისს და 1 ივლისს) კვლავ დაგეგმილია **XIII მსოფლიო ღია რეიტინგული შეჯიბრებები სპორტულ (სამეჯლისო) ცეკვებში Batumi World Open 2017**

ფედერაციის ეგიდით ეროვნული საწვრთნელი ბანაკი ჩატარდება 29 აპრილს – ცეკვის საერთაშორისო დღეს! ფედერაციის ყველა წევრის – ათლეტის, მსაჯის და მწვრთნელის დასწრება სავალდებულოა!

ჩვენ ასევე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს საქართველოს 2 ქალაქის (ქ. ქუთაისის და ქ. რუსთავი) ადგილობრივი თვითმართველობების წარმომადგენლებთან, რათა მომავალში მათი მხარდაჭერით ჩავატაროთ საერთაშორისო შეჯიბრებები ამ 2 ქალაქში! ვინაიდან ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენი წევრები – იმერეთის მხარის სპორტული ცენტრების ფედერაცია – **ბ-ნ ალექო ბუხაიძის** ხელმძღვანელობით და ქვემო ქართლის სამხარეო სპორტული ცენტრების ასოციაცია – **ბ-ნ ანზორ ბლიაძის** ხელმძღვანელობით – ბოლო წლებში წარმატებულ შეჯიბრებებს ატარებენ და შესაძლებელია ამ ქალაქებში საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება.

ჩვენი ათლეტები ამ 4 წლის განმავლობაში ასპარეზობდნენ უამრავ საერთაშორისო შეჯიბრებებში მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში – და თითოეული წარმატებას ჩვენ ყოველთვის ვაშუქებდით და ვულოცავდით ათლეტებს ფედერაციის Facebook გვერდის საშუალებით!

ჩვენ კვლავ გავნაგრძობთ ჩვენი ათლეტების მიღწევების გაშუქებას და თითოეულ მათგანს მსურს ვუსურვო უდიდესი წარმატებები 2018 წელს!

ცხადია არ შემოიძლია არ აღვნიშნო ჩვენი მსაჯების გასვლა საერთაშორისო არენაზე და ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ეს წარმატებული წელი იყო! მათი მსაჯობის გეოგრაფია დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ მსოფლიო ფედერაციის ვებ-გვერდზე!

<http://www.worlddancesport.org/>

მნიშვნელოვანია, ასევე ის ფაქტი, რომ ჩვენი წყვილების საერთაშორისო შეჯიბრებების გეოგრაფიაც წელს საკმაოდ გაზრდილი და შთამბეჭდავი იყო!

ჩვენ ვამაყობთ თითოეული ჩვენი წყვილის წარმატებით საზღვარგარეთ და ვუსურვებთ მათ კიდევ უფრო დიდ მიღწევებს მომავალ 2018 წელს!

წარმატებული იყო ასევე წლევეანდელი წლის ბოლოს ჩვენი ფედერაციის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრი „საქართველოს თასი 2017“, რომელი ჩატარდა ა.წ. 23 და 24 დეკემბერს – სპორტკომპლექს „არენაში“.

უფროსების ქვეჯგუფში ლათინო-ამერიკული ცეკვების პროგრამით გამოვლინდა თასის მფლობელი წყვილი:

ლათინი:

რატი გაჩეჩილაძე – კარინა ლისენკო (სტუდია "თელა").

სტანდარტი:

არტიომ ტარასოვი – ევა შანიძე (სტუდია "თელა").

პროფესიონალები ლათინი:

ლევან ახვლედიანი – ლელი ბაზალი (სტუდია "არტ-დანსი").

იმედს ვიტოვებ, რომ 2018 წელი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება და მოგვიტანს ახალ გამარჯვებებს!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

პატივისცემით და სიყვარულით,



ფედერაციის პრეზიდენტი

გიორგი გაჩეჩილაძე

31.12.2017